სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 22 მაისს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *მლადენოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ – განაცხადი №1099/08*

აპლიკანტი სერბეთის მოქალაქეა, დაიბადა 1948 წელს და ცხოვრობს ბელგრადში. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ სერბეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაეფექტურად ჩაატარეს მისი ვაჟის მკვლელობის გამოძიება, რომელიც შვებულებაში მყოფმა პოლიციელმა მოკლა 1991 წლის ივლისში ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის გამართული ჩხუბისას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 5.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ჰასდემირი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №44027/09*

აპლიკანტი მეჰმეტ ჰასდემირი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის იზმირის ციხეში. 2000 წლის მაისში იგი დააპატიმრეს, როგორც შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფების წევრობაში ეჭვმიტანილი სხვადასხვა დანაშაულობების ჩადენის გამო და მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში. წინასწარი პატიმრობის ვადა რამდენჯერმე გაუგრძელდა, ვიდრე 2011 წლის დეკემბერში საბოლოოდ არ სცნეს ბრალდებულად და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. კონვენციის მე-5 მუხლის III და V ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის როგორც მისი წინაწარი პატიმრობის ვადის უსაფუძვლო გაგრძელებაზე, ასევე მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და V ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 11.900 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *ჰატიჩე დუმანი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №43918*

აპლიკანტი ქალბატონი ჰატიჩე დუმანი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის გებზეს ციხეში (თურქეთი). 2003 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს მარქსისტ-ლენინური კომუნისტური პარტიის (რომელიც უკანონო ორგანიზაციადაა ცნობილი თურქეთში) წევრობის გამო. მისი წინასწარი პატიმრობა გაგრძელდა 2011 წლის მაისამდე, ვიდრე საბოლოოდ არ გაასამართლეს კონსტიტუციური წესრიგის დამხობის მცდელობის გამო და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა უსაფუძვლოდ იყო გაჭიანურებული და მას არ ჰქონდა შესაბამისი ეფექტური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 8.000 ევროს გადახდა

არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- ***ბორგესი იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №60890/00***

აპლიკანტი ქალბატონი ბორგესი იტალიის მოქალაქეა. იგი ამტკიცებს, რომ დაახლოებით 14,297 კვადრატული მეტრი შენობა ჩამოერთვა კონვენციის პირბველი ოქმის I მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

- ***კორალეს პერეირა ფერნანდეს სოარესი პორტუგალიის წინააღმდეგ – განაცხადი №43359/07***

აპლიკანტი პორტუგალიის მოქალაქეა. იგი ჩივის, რომ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის შეფასება და კომპენსაციის დაგვიანებული გადახდა მიწის ნაკვეთის ექსპროპრიაციის გამო არღვევს მის უფლებას მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

- ***ფიკრი იაკარი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23639/10***

აპლიკანტი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1992 წელს და ცხოვრობს დიარბაქირში. 2009 წლის 25 ოქტომბერს მადაზიასა და საფოსტო შენობას დაუშინეს ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი. განმცხადებელი დააპატიმრეს როგორც აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, რომელმაც უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის (ქურთთა მუშათა პარტია) სახელით ჩაიდინა აღნიშნული ქმედება. განმცხადებელი ჩივის წინასწარი პატიმრობის ვადის გაჭიანურების თაობაზე და აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობების არ ქონაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილები.

- ***ტურგუტ იოზკანი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23601/10***

აპლიკანტი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1993 წელს და ცხოვრობს შირნაკში. იგი დააპატიმრეს კომპიუტერული ჰაკერობის გამო, რომელმაც უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის (ქურთთა მუშათა პარტია) სახელით ჩაიდინა აღნიშნული ქმედება. განმცხადებელი ჩივის წინასწარი პატიმრობის ვადის გაჭიანურების თაობაზე და აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობების არ ქონაზე, ასევე ცივის პატიმრობების პირობების გამო, რაც შეუთავსებელი იყო მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- *მაილო იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი №683/03*
- *ფერეირა და სილვა ე ბრიტო და სხვები პორტუგალიის წინააღმდეგ – განაცხადი №46273/09*

აღნიშნულ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან მათი სამოქალქო საქმეების გაჭიანურებით განხილვის თაობაზე.

სასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. საქმეზე – *მაილო იტალიის წინააღმდეგ* – ასევე დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი, ხოლო საქმეზე – *ფერეირა და სილვა ე ბრიტო და სხვები პორტუგალიის წინააღმდეგ* – ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.